ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 1136-17-04

ქ.თბილისი

23.01.2017 წ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდეგში "შემკვეთად" წოდებული. საიდენტიფიკაციო კოდი 203860679; მისამართი: ქ. თბილისი, რამიშვილის #6) წარმოდგენილი სახალხო დამცველის პირველი მოადგილის ნათია კაციტაძის სახით სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, შპს „კონსაუდი" - საერთაშორისო ქსელის **IECnet** წევრი აუდიტორული ფირმა (შემდეგში „შემსრულებლად" წოდებული. საიდენტიფიკაციო კოდი: 201950996; მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 61) მისი დირექტორის რევაზ ძაძამიას სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის ს1 (5000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა - მონეტარული ზღვრების შესაბამისად) პუნქტის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

(CPV კოდი 7920000- საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები):

1.1. შემკვეთისათვის დონორის (ბულგარეთის საელჩო) მიერ გამოყოფილი გრანტის პროექტის „კახეთის რეგიონში სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება"- (ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი და თრიღი: #1136, 06.06.2016) გამოყენებაზე 2017 წლის 30 იანვრის მდგომარეობით მომზადებული ნლიური ანგარიშგების (შემდგომში ანგარიშგება) აუდიტი.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

2.1. შემკვეთი ვალდებულია:

2.1.1 აუდიტის დაწყებამდე შეადგინოს ანგარიშგება დონორის მოთხოვნის გათვალისწინებით. შეატყობინოს შემსრულებელს ამ სამუშაოების შესრულების შესახებ.

2.1.2 შემსრულებლის სპეციალისტებს წარუდგინოს აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელი ყველა დოკუმენტი. მ.შ. ხელშეკრულებები, ფინანსური ანგარიშგება, ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები, პირველადი დოკუმენტები, სხვა საცნობარო და განმარტებითი მასალები, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტის საგანთან და პერიოდთან.

2.1.3 შემსრულებლის სპეციალისტების მოთხოვნის მიხედვით უზრუნველყოს შემკვეთის თანამდებობრივ პირთა მიერ შემოწმების საკითხებთან დაკავშირებით დროული და სრული განმარტების მიცემა ზეპირსიტყვიერად და წერილობითი ფორმით.

2.1.4 უზრუნველყოს შემრულებლის სპეციალისტები აუდიტის ჩატარების შესაძლებლობებით და დაეხმაროს მათ აუცილებელი აუდიტორული პროცედურების ჩატარებაში.

2.1.5 შემრულებლის სპეციალისტებს შეუქმნას აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელი პირობები, შესაბამისი სამუშაო და დოკუმენტების შესანახი ადგილის გამოყოფის ჩათვლით.

2.1.6 აანაზღაუროს შემსრულებლის მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

2.1.7 არანაირი ღონე არ იხმაროს აუდიტის მსვლელობისას გასარკვევ საკითხთა წრის და დაკავშირებული აუდიტორული პროცედურების შესაზღუდავად.

2.2. შემკვეთი უფლებამოსილია:

2.2.1 მიიღოს ინფორმაცია შემსრულებლისაგან იმ ნორმატიული აქტების შესახებ, რომლებსაც ეფუძნება შემსრულებლის შენიშვნები და მოსაზრება.

2.3. შემსრულებელი ვალდებულია:

2.3.1 შემკვეთის მიერ მიწოდებული დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე კვალიფიციურად ჩაატაროს აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე.

2.3.2 გაითვალისწინოს შემკვეთის დონორის ინსტრუქციები აუდიტთან დაკავშირებით.

2.3.3 უზრუნველყოს აუდიტის მსვლელობისას შემკვეთისაგან მიღებული დოკუმენტების დაცულობა.

2.3.4 არ გაამხილოს მესამე პირებთან შემკვეთის დოკუმენტების შინაარსი შემკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

2.3.5 აუდიტის დასრულების შემდეგ წარუდგინოს შემკვეთს აუდიტორული დასკვნა.

2.4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

2.4.1 დამოუკიდებლად განსაზღვროს აუდიტის ჩატარების ფორმა და მეთოდი, რომელიც ეფუძნება შერჩევით შემოწმებას და რომელიც ასევე ითვალისწინებს არსებითობის პრინციპს.

2.4.2 შეამოწმოს გრანტთან დაკავშირებული შემკვეთის, ფულადი სახსრების არსებობა; ჩაატაროს აუცილებელი აუდიტორული მოქმედება და პროცედურები; შემკვეთის თანამდებობრივი პირებისაგან მიიღოს აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელი განმარტებები და დამატებითი ცნობები მ.შ. წერილობითი ფორმით.

2.4.3 მიიღოს მესამე პირებისაგან აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელი ინფორმაცია.

2.4.4 გადაიღოს იმ დოკუმენტების ფოტოასლები, რომლებიც, შემსრულებლის მოსაზრებით, აუცილებელია აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

2.4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად მოიწვიოს დამატებითი სპეციალისტები, გარეშე კონსულტანტები და ექსპერტები.

2.4.6 უარი თქვას აუდიტის ჩატარებაზე ან არ გამოთქვას საკუთარი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის შესახებ აუდიტორულ დასკვნაში, შემკვეთის მიერ აუცილებელი დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარუდგენლობის ან სხვა ფორმით აუდიტორული პროცედურების შეზღუდვის შემთხვევაში.

მუხლი 3. მომსახურების გადაცემა

3.1 აუდიტორული დასკვნის წარდგენა ხდება შემკვეთის უფლებამოსილ პირზე შემსრულებლის წარმომადგენლის მიერ გადაცემით.

3.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების თარიღად ითვლება შემკვეთისათვის აუდიტორული დასკვნის წარდგენის თარიღი.

3.3 მომსახურების გადაცემა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ვადები

4.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადა განსაზღვრულია 2017 წლის 20 თებერვლამდე.

მუხლი 5. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1 შემკვეთის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1180.00 (ერთი ათას ასოთხმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

5.2 მომსახურებაზე ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის მხარეები მატერიალურად პასუხისმგებელნი არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 შემსრულებელი აუდიტს ახორციელებს მხოლოდ შემოწმების პროცესში წარდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე. დოკუმენტების სისწორესა და დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობაზე პასუხისმგებელი არიან ამ დოკუმენტების შემქმნელი ან ხელმომწერი პირები.

6.3 შემკვეთის ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებელია შემკვეთის ხელმძღვანელობა, რაც აუდიტორული პროცედურების დასრულებამდე წერილობით იქნება დადასტურებული შემკვეთის ხელმძღვანელობის მიერ.

6.4 ნებისმიერ სარჩელსა და პრეტენზიაზე შემსრულებლის პასუხისმგებლობა შემოფარგლულია ამ ხელშეკრულების თანახმად მიღებული ან მისაღები თანხის ოდენობით.

მუხლი 7. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

7.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 6.4 პუნქტის გათვალისწინებით.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.5 ჩვენი აუდიტის დასკვნა მომზადდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, და იქნება მსგავსი ნიმუშისა რომელიც ნაჩვენებია დანართში #1. დასკვნის ფორმა და შინაარსი შესაძლოა შეიცვალოს აუდიტის პროცესში გამოვლენილი გარემოებების და ინფორმაციის შედეგად.

9.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.6 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 20 მარტამდე.

მუხლი 10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მის: ქ.თბილისი, ნ.რამიშვილის ქ.6 საიდ.კოდი: 203860679 ტელ: 2913814/15 ფაქსი: 2913841 ელ–ფოსტა: mkvitsiani@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა: 200122900	შპს „კონსაუდი" საიდენტიფიკაციო კოდი 201950996 ქ. თბილისი, წერეთლის #61 სს. „პროკრედიტ ბანკი" ც/ფ ა/ა № GE76PC0313600100004023 კოდი MIBGGE22
სახალხო დამცველის პირველი მოადგილე წათია კაციტაძე	დირექტორი რევაზ ბასილია